

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების VIDGEN v. THE NETHERLANDS<sup>1</sup> (განაცხადის N29353/06) მოკლე მიმოხილვა**

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)  
ვასილ ქარსელაძე (სტუდენტი)

**პროცედურა**

საქმე წარმოიშვა ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ საჩივრით, რომელიც ბრიტანეთში შეტანილი იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოში. 2003 წლის 5 სექტემბერს უტრეხტის რეგიონულმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო დანაშაულის თანამონაწილედ, ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი ტაბლეტების გადაზიდვისას, რომლითაც ვაჭრობა უკანონოა ყველა შესაბამის ქვეყანაში, ნიდერლანდებიდან გერმანიაში გადაჰქონდათ და მათი გადაზიდვა საბოლოოდ უნდა მომხდარიყო ავსტრალიაში. განმცხადებელს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. განმცხადებლის წინააღმდეგ სამართალწარმოება მის თანამონაწილეებთან ერთად მიმდინარეობდა. მათ აღიარებითი ჩვენებები მისცეს გერმანიის პროკურორებს, რომელიც გათვალისწინებული იქნა განაჩენის გამოტანისას. უტრეხტის საოლქო სასამართლოს წინაშე წარდგენილი პრაქტიკულად ყველა მტკიცებულება განმცხადებლის განზრახვისა და დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის დასადასტურებლად აღებულ იქნა. განმცხადებელმა არაერთხელ მოითხოვა ერთ-ერთი თანამონაწილის დაკითხვის უფლება, რადგან არც ის და არც მისი ადვოკატი არ ყოფილან სხვა დროს დაკითხვისას. ასევე, აღმოჩნდა, რომ ამ თანამონაწილემ უარი თქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე ან ადრე გაკეთებული განცხადებების გამეორებაზე. გარდა ამისა, პროკურორმა აღნიშნა, რომ თარჯიმანი ეხმარებოდა მოწმეს. 2006 წლის 6 ივნისს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი და დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო დაყრდნობოდა ამ თანამონაწილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ყველაფრის მიუხედავად, ვინაიდან ეს მოწმე მოსმენაზე გამოჩნდა და განმცხადებელს შეეძლო მისთვის კითხვების დასმა.

**ფაქტები:**

- კონვენციის მე-6 მუხლის 1 – ლი და მე –3 (დ) პუნქტების სავარაუდო დარღვევა განმცხადებელი ამბობდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოება იყო უსამართლო და იგი ნასამართლევი იყო მ.-ს (თანამონაწილის) მიერ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, მას არ ჰქონდა დეტალური დაზუსტების შესაძლებლობა. განმცხადებელი დაეყრდნო კონვენციის 6.1 და 6.3(დ) მუხლებს, რომელთა თანახმადაც ყველას, ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, უფლება აქვს თავად დაკითხოს ან დაესწროს მის წინააღმდეგ არსებული მოწმეების დაკითხვას. აღნიშნული დარღვევის არსებობა უარყო სასამართლომ, რადგან გონივრული მცდელობები იქნა გატარებული, იმისთვის რომ განმცხადებელს მიეღო საჭირო პასუხები მოწმისგან. მტკიცებულებები, რომლებსაც სასამართლო დაეყრდნო არ ყოფილა მხოლოდ თანამონაწილის ჩვენება, არამედ დაახლოებით 20 მტკიცებულებიდან, თანამონაწილის განცხადებებთან კავშირში იყო მხოლოდ 4. აქედან პირველი ორი - მ.-ს მიერ გერმანელი პოლიციელისთვის გაკეთებული განცხადებებია, რომელიც უკავშირდებოდა განმცხადებლის მიერ კონტრაბანდის მცდელობას. დანარჩენ მის ორ განცხადებაში კი აღწერილია განმცხადებლის

<sup>1</sup> [https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:\[%22001-112102%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:[%22001-112102%22]})

საქმიანობა და განმცხადებლის საკუთარი განცხადება ღია სასამართლოში, საიდანაც ჩანს, რომ განმცხადებელი შეხვდა A-ს.

### **კანონმდებლობა & სამართლებრივი შეფასება**

სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოიხსენებს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს, კერძოდ ამ დებულების 1-ლ პუნქტში მოცემულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნებისმიერი სამართალწარმოების შეფასებისას. სასამართლოს ძირითადი საზრუნავი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად არის ზოგადად სისხლის სამართლის საქმისწარმოების სამართლიანობის შეფასება. შეფასებისას, სასამართლო განიხილავს სამართალწარმოებას მთლიანობაში, კერძოდ: თავდაცვის უფლებას, ასევე საზოგადოებისა და დაზარალებულთა ინტერესებს, მოწმეების უფლებებს. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობა წესრიგდება ეროვნული სამართლისა და ეროვნული სასამართლოების მიერ, სასამართლოს ერთადერთი საზრუნავია იმის განხილვა, ჩატარდა თუ არა სამართალწარმოება სამართლიანად. ბრალდებულის მსჯავრდებამდე, მის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება წარდგენილი და გამოკვლეული უნდა იქნას საჯარო სხდომაზე მისი თანდასწრებით (მუხლი 6.3). ამ პრინციპიდან გამონაკლისი შესაძლებელია, მაგრამ არ უნდა დაირღვეს დაცვის უფლებები, რაც, როგორც წესი, მოითხოვს, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, გაასაჩივროს მოწმის ჩვენება და თავად დაკითხოს მოწმე.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, არსებობს ორი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპიდან. პირველი, უნდა არსებობდეს მოწმის არ დასწრების საფუძველი. მეორე, როდესაც მსჯავრდება ემყარება მხოლოდ ან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოწმის ჩვენებას, რა დროსაც ბრალდებულს შესაძლებლობა არ ჰქონდა გამოეკვლია მოწმის ჩვენება თავად, იქნება ეს გამოძიების დროს თუ სასამართლო პროცესზე, ამ დროს დაცვის უფლებები იზღუდება იმ ზომით, რაც შეუსაბამოა მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან (ე.წ. „ერთადერთი ან გადამწყვეტი წესი“). შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ, როდესაც ირიბი ჩვენება არის ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულება განსასჯელის წინააღმდეგ, მისი მტკიცებულებად დაშვება ავტომატურად არ გამოიწვევს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. ამავე დროს, როდესაც მსჯავრდება ემყარება მხოლოდ ან გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებს მოწმეების დაუსწრებელ მტკიცებულებებს, სასამართლომ უნდა განახორციელოს სამართალწარმოების მკაცრი კონტროლი. ამგვარი მტკიცებულების დასაშვებად ცნობა და მიღება საშიშროების მატარებელია და საჭიროებს ძლიერი პროცედურული გარანტიების არსებობას. თითოეულ შემთხვევაში საკითხავია, არის თუ არა საკმარისი ზომები მიღებული, რაც იძლევა ამ მტკიცებულების სანდოობას, მის სამართლიან და სათანადო შეფასებას. მსჯავრდება უნდა დაეყრდნოს ამგვარ მტკიცებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად სანდოა საქმეში მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამრიგად, სასამართლო ასკვნის, რომ მ.-ს განცხადებები გერმანელი პოლიციელის მიმართ იყო „ერთადერთი“ მტკიცებულება განმცხადებლის დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ და, ამრიგად, „გადამწყვეტი“ იყო განმცხადებლის მსჯავრდებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მთავრობა აცხადებს, გონივრული მცდელობები განხორციელდა იმისათვის, რომ განმცხადებელს მიეღო პასუხები მ.-ისგან (მოწმისგან) ეს არ კომპენსირდება ეფექტური პროცედურული ზომებით განმცხადებელთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევა განმცხადებლის მიმართ.